

*თვითმმართველი ერთეული ვანის მუნიციპალიტეტი*

*საპროექტო მომსახურების შესყიდვის*

*ს ა კ ო ნ ს კ უ რ ს ო      გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა*

*ქ. ვანის 2013 წელი*

## განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

ვანის მუნიციპალიტეტი აცხადებს კონკურსს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

### 1. შესყიდვის ობიექტი:

- რუსთაველის ქუჩაზე გზის მიმდინარე შეკეთება
- თავისუფლების ქ. №86 არსებული ბინის დაზიანებული სახურავის შეკეთება
- თავისუფლების ქ. №63არსებულ ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ტუალეტის მოწყობა
- თავისუფლების ქ.№63 და ქ.№65-ს შორის შესასვლელ გზაზე ქვაფენილის მოწყობა
- ყოფილი პროფსასწავლებლის შენობაში წყლის შეყვანა
- თავისუფლების ქუჩაზე სავალი ბილიკების მოწყობა
- მუნიციპალიტეტის აღმნიშვნელი ტრაფარეტის მოწყობა
- სტადიონთან კედლის კეთილმოწყობა
- ქალაქ ვანში შინმოუსვლელთა სკვერის კეთილმოწყობა
- ამაღლების თემში მდინარე კვინისწყალზე ნაპირსამაგრის მოწყობა
- ქ. ვანში მდინარე ჭიშურაზე ნაპირსამაგრის მოწყობა
- ყოფილი პროფსასწავლებლის შენობის წინ ჯებირის მოწყობა
- ქალაქში არსებული სანიაღვრე არხის მოწესრიგება
- მუქედის თემში რამიშვილების უბანში გაბიონის მოწყობა
- ზეინდარ-გორას გზის გასწვრივ სანიაღვრე არხის მოწყობა
- რუსთაველის ქუჩის გარე-განათების მოწყობა
- ჭაგან-ჭყვიშში გარე-განათების მოწყობა
- ჯვრის მოედანთან სკვერში გარე-განათების მოწყობა
- თავისუფლების ქ. №64-ის წინ არსებულ სკვერში გარე-განათების მოწყობა
- ქალაქ ვანში თავისუფლების ქუჩაზე გარე-განათების მოწყობა
- ფერეთას თემის ადმინისტრაციული შენობის რემონტი
- სალომინაოს თემის ადმინისტრაციული შენობის რემონტი
- ტობანიერის თემის ადმინისტრაციული შენობის რემონტი
- ძულუხის თემის ადმინისტრაციული შენობის რემონტი
- ციხესულორის თემის ადმინისტრაციული შენობის რემონტი
- სულორის თემის ადმინისტრაციული შენობის რემონტი
- დიხაშხოს თემის ადმინისტრაციული შენობის რემონტი
- სალხინოს თემის ადმინისტრაციული შენობის რემონტი
- ამაღლების თემის ადმინისტრაციული შენობის რემონტი
- საპრასიის თემის ადმინისტრაციული შენობის რემონტი
- ბზვანის თემის ადმინისტრაციული შენობის რემონტი
- შუამთის თემის ადმინისტრაციული შენობის რემონტი
- სოფლის ადმინისტრაციულ შენობებში ბუნებრივი აირის შეყვანა (17 ობიექტი- ბზვანის,შუამთის,საპრასიის,მუქედის,მთისძირის,ფერეთას,ძულუხის,დიხაშხოს,სულორი, უხუთის,ტობანიერის,სალხინოს,ზეინდარის,ამაღლების,სალომინაოს,ყუმურის და ციხესულორის თემების ადმინისტრაციული შენობები)

- სოფლებში ადმინისტრაციულ შენობებში ელ-ენერჯის შეყვანა და დაბილინგება (16 ობიექტი\_ბზვანის,შუამთის,საპრასიის,მუქედის,მთისძირის,ფერეთას,ძულუხის,დიხაშხოს, სულორი,უხუთის,ტობანიერის,გადიდის,ამალღების,ყუმურის თემებისადმინისტრაციული შენობები და ზეინდრის თემის მე-7 ქუჩიდან გორას მიმართულებით,გორას თემიდან უხუთის მიმართულებით გარე განათების დაბილინგება)

სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

### დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს:

- დეფექტურ აქტებს, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს საპროექტო ორგანიზაციის და შემსყიდველის წარმომადგენლის მიერ;
- განმარტებითი ბარათი;
- სამუშაოების საპროექტო -სახარჯთაღრიცხვო (მუშა ნახაზები) დოკუმენტაცია.

## 2. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 11 291 ლარს.

3. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ და კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის ქვითარი დალუქვის გარეშე, ასევე დალუქული კონვერტით უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადება, რომელიც უნდა მოიცავდეს შესყიდვის ობიექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ღირებულებას, ინფორმაციას კონკურსანტის გამოცდილების შესახებ, ინფორმაციას მომსახურების გაწევის ვადის შესახებ და საკვალიფიკაციო მონაცემებს.

3.1 ზემოთ აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დალუქული კონვერტით 2013 წლის 10 აპრილს 13:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი ვანი, თავისუფლების ქუჩა №65, ვანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და საკონკურსო წინადადების წარმოდგენისათვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის გარეშე საკონკურსო წინადადება გატარდება რეგისტრაციაში და გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.

4.საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს კანონის 19<sup>1</sup> მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით (50 ლარი). საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე ([www.procurement.gov.ge](http://www.procurement.gov.ge)).

4.1. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

- ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
- ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

4.2.კონკურსანტის მიერ „4.1“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

## 5. წარმოსადგენი დოკუმენტაცია.

5.1.პრეტენდენტის საკონკურსო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დამატებით დოკუმენტებსა და ინფორმაციას:

- საკონკურსო წინადადების ფასი, წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ლარებში.
- ინფორმაციას ანალოგიური მომსახურების გაწევის შესახებ.
- ინფორმაცია მომსახურების მიწოდების ვადების შესახებ.
- ორგანიზაციის რეკვიზიტები.
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან.

**შენიშვნა:**

- 1) საკონკურსო გაცხადების მე-5 პუნქტის „5.1“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული. ხელმოუწერილი და ბეჭედაუსმელი დოკუმენტაცია არ განიხილება და უკან დაუბრუნდება კონკურსანტს.
- 2) კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, რომლის ღირებულება აღემატება საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.

6. ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს საკონკურსო განცხადების გამოქვეყნებიდან მისი მიღების ვადის დასრულების პერიოდის გათვალისწინებით.
7. კონკურსანტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, საკონკურსო კომისია მოახდენს ამ კონკურსანტის დისკვალიფიკაციას.
8. არარეზიდენტმა კონკურსანტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.
9. კონკურსში გამარჯვებულმა პირმა სრულყოფილი პროექტი უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს **ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 კალენდარულ დღეში.**
10. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში) უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით. ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეულ მომსახურებაზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

## 11. ტექნიკური დავალება:

*რუსთაველის ქუჩაზე გზის მიმდინარე შეკეთება* -სამუშაოს სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 14700 ლარს.

- ქუჩის გზის დაზიანებული საფარის აღსადგენად საჭიროა შეკეთედეს ორმულად, დაიგოს ასფალტ-ბეტონი 80 კვ.მ.

*თავისუფლების ქ. №86-ში არსებული ბინის დაზიანებული სახურავის შეკეთება*-სამუშაოს სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 9800 ლარს.

- სახურავის შესაკეთებლად საჭიროა დემონტაჟი გაუკეთდეს სახურავზე არსებულ სპეციალურ გადახურვას 42 კვ.მ .
- მოსაწყობია სპეციალური გადახურვა სამტრედეს 42 კვ.მ. სამტრედეს კედლებზე ასაკრავია მოთუთიებული თუნუქი.

*თავისუფლების ქ. №63-ში არსებულ ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ტუალეტის მოწყობა*-სამუშაოს სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 29400 ლარს.

- მოსაწყობია საზოგადოებრივი საპირფარეოში 4 ადგილიანი 30 კვ.მ.
- თავისუფლების ქ.№63 და 65-ს შორის შესასვლელ გზაზე ქვაფენილის მოწყობა*-სამუშაოს სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 39200 ლარს.
- მოსაწყობია ქვაფენილი 600 კვ.მ

*ყოფილი პროფსასწავლებლის შენობაში წყლის შეყვანა*-სამუშაოს სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 1960 ლარს.

- შესაყვანია წყალი ყოფილი პროფ.სასწავლებლის ეზოში 2 წერტილზე
- თავისუფლების ქუჩაზე ფეხით სავალი ბილიკების მოწყობა*-სამუშაოს სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 88200 ლარს.
- ქუჩის ორივე მხარეს დემონტაჟი უნდა გაუკეთდეს არსებულ ამორტიზირებულ ფეხით მოსიარულეთა ბილიკებს საერთო სიგრძით 844 გრმ.მ
- მოსაწყობია ფეხით მოსიარულეთა ბილიკი ქუჩის ორივე მხარეს საერთო სიგრძით 844გრმ.მ ფართით 2140 კვ.მ.

*მუნიციპალიტეტის სახელის აღმნიშვნელი ტრაფარეტის მოწყობა*-სამუშაოს სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 9800 ლარს.

- მოსაწყობია აბრა, რომელზეც გამოსახული იქნება ქალაქის დასახელება და სიმბოლიკა ვანი-როგორც ანტიკური ხანის ნაქალაქარი

*სტადიონთან კედლის კეთილმოწყობა*-სამუშაოს სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 29400 ლარს.

- დემონტაჟი უნდა გაუკეთდეს კედელზე აკრულ თეთრ ქვას 820 კვ.მ
- გადმოსადებია ბეტონის ბლოკები კედლის დეფორმირებული ადგილიდან 120 კუბ.მ
- ასადებია ბეტონის კედელზე მოწოლილი ჭარბი მიწა, მოსაწყობია კედელზე 120 კუბ.მ ბეტონის ბლოკები, კედელში გამოსაჭრელია ყოფილი სადრენაჟე ხვრელები
- შესაღესია კედელი 1200 კვ.მ ქვიშა-ცემენტის ხსნარით და დასაფარია დეკორატიული ნაშხეფით.

- კედლის თავზე მოსაწყობია გადახურვა ნალესის შესანარჩუნებლად.

*ქალაქ ვანში შინმოუსვლელთა სკვერის კეთილმოწყობა*-სამუშაოს სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 19600 ლარს.

- დემონტაჟი უნდა გაუკეთდეს სკვერში არსებულ სტენდებს, ჩამოსაფხეკია ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის მხარის კედელი 82 კვ.მ და მასზე მოსაწყობია დეკორატიული ფილა, კედლის თავზე მოსაწყობია დეკორატიული ფილა, კედლის თავზე მოსაწყობია ღამის განათება დაბალი სანათებით.
- მოსაწყობია ბორდიურები სიგრძით 48 მ. და სიმაღლით 50 სმ. ყვავილების გაზონისათვის დემონტაჟი უნდა გაუკეთდეს ძირს დაგებულ ფილებს დეფორმირებულ ადგილებში 40 კვ.მ გასწორდეს ქვედა ფენა და დაიგოს ფილები ხელახლა.

- მოსაწყობია მემორიალური დაფა სიმბოლიკით მეორე მსოფლიო ომი და ომში დაღუპულ რაიონის მკვიდრთა სიით.
- მოსაწყობია ბეტონის ბორდიურები სკვერის დასავლეთით არსებულ სანიაღვრე არხის გასწვრივ 35 გრძ.მ მოსაწყობია ასევე განათება სკვერის ქუჩის მხარეს დაბალი სანათებითა და ყვავილების გაზონზე 1.5-2 მეტრის სიმაღლით 4 ცალი სანათი.  
*ამაღლებს თემში მდინარე კვინისწყალზე ნაპირსამაგრის მოწყობა-სამუშაოს სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 19600 ლარს.*
- მოეწყოს ნაპირსამაგრი 40 გრძ.მ  
*ქ. ვანში მდინარე ჭიშურაზე ნაპირსამაგრის მოწყობა-სამუშაოს სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 19600 ლარს.*
- მოეწყოს ნაპირსამაგრი 60 გრძ.მ  
*ყოფილი პროფსასაწავლებლის შენობის წინ ჯებირის მოწყობა-სამუშაოს სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 9800 ლარს.*
- მოეწყოს არხის პირზე ჯებირი სიგრძით 130 გრძ.მ  
*ქალაქში არსებული სანიაღვრე არხის მოწესრიგება-სამუშაოს სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 39200 ლარს.*
- ამოიწმინდოს სანიაღვრე არხი 1600 გრძ.მ დემონტაჟი გაუკეთდეს არხის დაზიანებულ ნაწილებს და მის ნაცვლად მოეწყოს ახალი. შესაკეთებელია სანიაღვრე არხი მთლიანად.  
*მუქედის თემში, რამიშვილების უბანში გაბიონის მოწყობა-სამუშაოს სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 29400 ლარს.*
- მოსაწყობია გაბიონი 50 გრძ.მ  
*ზეინდარი-გორას გასწვრივ სანიაღვრე არხის მოწყობა-სამუშაოს სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 19600 ლარს.*
- მოსაწყობია სანიაღვრე არხი 1200 გრძ.მ  
*რუსთაველის ქუჩის გარე-განათების მოწყობა-სამუშაოს სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 19600 ლარს.*
- საჭიროა მოეწყოს გარე-განათება 30 სანათი 900 გრძ.მ  
*ჭაგან-ჭყვიშში გარე-განათების მოწყობა-სამუშაოს სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 19600 ლარს.*
- საჭიროა მოეწყოს გარე-განათება 30 სანათი 900 გრძ.მ  
*ჯვრის მოედანთან სკვერში გარე განათების მოწყობა-სამუშაოს სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 19600 ლარს.*
- საჭიროა მოეწყოს 50 ცალი დაბალი სანათი და 5 ცალი 3 სანათიანი გარე განათების ბოძი სიმაღლით 2-2.5 მეტრამდე.  
*თავისუფლების ქ.№64-ის წინ არსებულ სკვერში გარე-განათების მოწყობა-სამუშაოს სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 19600 ლარს.*
- მოეწყოს სკვერში 3 სანათიანი 18 ცალი გარე განათების ბოძი სიმაღლით 2-2.5 მეტრამდე.  
*ქალაქ ვანში თავისუფლების ქუჩაზე გარე-განათების მოწყობა-სამუშაოს სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 29400 ლარს.*
- მოეწყოს თავისუფლების ქუჩაზე 1400 გრძ.მ 45 ცალი გარე განათების სანათი  
*ფერეთას თემის ადმინისტრაციული შენობის რემონტი-სამუშაოს სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 3430 ლარს.*
- შეიცვალოს 4 ფანჯრისა და 2 კარების ბლოკი და მოეწყოს იგი მეტალოპლასტმასის მასალისაგან. მოეწყოს იატაკი /ამორტიზირებული ხის იატაკის ნაცვლად/ ლამინირებული იატაკი.  
*სალომინაოს თემის ადმინისტრაციული შენობის რემონტი-სამუშაოს სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 1960 ლარს.*
- შეიცვალოს 5 ფანჯრისა და 3 კარების ბლოკი და მოეწყოს იგი მეტალოპლასტმასის მასალისაგან. მოეწყოს იატაკი /ამორტიზირებული ხის იატაკის ნაცვლად/ ლამინირებული იატაკი 16 კვ.მ.

**ტობანიერის თემის ადმინისტრაციული შენობის რემონტი**-სამუშაოს სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 4900ლარს.

- შეიცვალოს შესასვლელში ხის ამორტიზირებული კარების ბლოკი მეტალოპლასტმასის კარების ბლოკით 1 ცალი, შეიცვალოს 5 ფანჯრისა და ამორტიზირებული ბლოკი მეტალოპლასტმასის ფანჯრის ბლოკებით. შეიღებოს 2 ოთახი.

**ბულუხის თემის ადმინისტრაციული შენობის რემონტი**-სამუშაოს სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 4900 ლარს.

- შეიცვალოს ხის ამორტიზირებული კიბის უჯრედები და მოეწყოს ბეტონის კიბის უჯრედები 8 ცალი. შეიცვალოს ამორტიზირებული 4 კარებისა და 4 ფანჯრის ბლოკი. შესაღებია კედელი ქვიშა-ცემენტის ხსნარით 50 კვ.მ

**ციხესულორის თემის ადმინისტრაციული შენობის რემონტი**-სამუშაოს სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 3920 ლარს.

- გასამაგრებელია შენობის კონსტრუქციული ელემენტები.

**სულორის თემის ადმინისტრაციული შენობის რემონტი**-სამუშაოს სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 3430 ლარს.

- შეიცვალოს შესასვლელში ხის ამორტიზირებული კარების ბლოკი მეტალოპლასტმასის კარების ბლოკით 1 ცალი, შეიცვალოს 3 ფანჯრის ამორტიზირებული ბლოკი მეტალოპლასტმასის ფანჯრის ბლოკებით. შეიცვალოს 3 ცალი ამორტიზირებული კარების ბლოკი მეტალოპლასტმასის კარების ბლოკით.

**დიხაშხოს თემის ადმინისტრაციული შენობის რემონტი**-სამუშაოს სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 4900 ლარს.

- შეიცვალოს ხის ამორტიზირებული ფანჯრის ბლოკი მეტალოპლასტმასის ფანჯრის ბლოკებით. შეიცვალოს შესასვლელში ხის ამორტიზირებული კარების ბლოკი მეტალოპლასტმასის კარების ბლოკით

**სალხინოს თემის ადმინისტრაციული შენობის რემონტი**-სამუშაოს სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 4900 ლარს.

შეიცვალოს ხის ამორტიზირებული ფანჯრის ბლოკი მეტალოპლასტმასის ფანჯრის ბლოკებით.

**ამაღლების თემის ადმინისტრაციული შენობის რემონტი**-სამუშაოს სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 4900 ლარს.

- შეიცვალოს ხის ამორტიზირებული ფანჯრის ბლოკი მეტალოპლასტმასის ფანჯრის ბლოკებით. შეიცვალოს შესასვლელში ხის ამორტიზირებული კარების ბლოკი მეტალოპლასტმასის კარების ბლოკით.

**საპრასიის თემის ადმინისტრაციული შენობის რემონტი**-სამუშაოს სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 4900 ლარს.

- შეიცვალოს ხის ამორტიზირებული 6 ფანჯრისა და 4 კარების ბლოკი და მოეწყოს იგი მეტალოპლასტმასის მასალისაგან. მოეწყოს იატაკი /ამორტიზირებული ხის იატაკის ნაცვლად/ 5 კვ.მ ახალის ხის იატაკი.

**ბზვანის თემის ადმინისტრაციული შენობის რემონტი**-სამუშაოს სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 3920 ლარს.

- შეიცვალოს ამორტიზირებული შიფერის სახურავისა და მის ქვეშ არსებული ხის კონსტრუქციით დაზიანებული ნაწილი 150 კვ.მ.

**შუამთის თემის ადმინისტრაციული შენობის რემონტი**-სამუშაოს სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 2940 ლარს.

- შესაცვლელია ამორტიზირებული 3 ცალი ხის ფანჯრის ბლოკი და ერთი ცალი ხის კარების ბლოკი . მოსაწყობია 15 კვ.მ ლამინირებული იატაკი.

**სოფლის ადმინისტრაციულ შენობებში ბუნებრივი აირის შეყვანა (17 ობიექტი)**

- ბზვანის თემში - 686 ლარი.
- შუამთის თემში - 686 ლარი.
- საპრასიის თემში -686 ლარი.

- მუქედის თემში -686 ლარი.
- მთისძირის თემში -686 ლარი.
- ფერეთას თემში -686 ლარი.
- ძულუხის თემში -686 ლარი.
- დიხაშხოს თემში -686 ლარი.
- სულორის თემში -686 ლარი.
- უხუთის თემში -686 ლარი.
- ტობანიერის თემში -686 ლარი.
- სალხინოს თემში -686 ლარი.
- ზეინდრის თემში - 686 ლარი.
- ამაღლების თემში -686 ლარი.
- სალომინაოს თემში - 686 ლარი.
- ყუმურის თემში -686 ლარი.
- ციხესულორის თემი - 686 ლარი.
- მოსაწყობია ბუნებრივი აირის გაყვანილობა სოფლების ადმინისტრაციულ შენობებში **სოფლებში ადმინისტრაციულ შენობებში ელ. ენერჯის შეყვანა და დაბილინგება (16 ობიექტი)**
  - ბზვანის თემში - 392 ლარი.
  - შუამთის თემში - 294 ლარი.
  - საპრასიის თემში -294 ლარი.
  - მუქედის თემში -294 ლარი.
  - მთისძირის თემში -294 ლარი.
  - ფერეთას თემში -294 ლარი.
  - ძულუხის თემში -294 ლარი.
  - დიხაშხოს თემში -294 ლარი.
  - სულორის თემში -294 ლარი.
  - უხუთის თემში -294 ლარი.
  - ტობანიერის თემში -294 ლარი.
  - გადიდის თემში -607 ლარი.
  - ამაღლების თემში -294 ლარი.
  - ყუმურის თემში -294 ლარი.
  - ზეინდრის თემში მე-7 ქუჩიდან გორას მიმართულებით გარე განათების დაბილინგება-490 ლარი.
  - გორას თემიდან უხუთის მიმართულებით გარე განათების დაბილინგება-490 ლარი.
- შესაყვანია ელექტრო ენერჯია სოფლის ადმინისტრაციულ შენობებში.

**შენიშვნა: სამუშაოების სავარაუდო ღირებულებაში არ შედის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ღირებულება**

- დამატებითი სამუშაოები დაზუსტდება შემსყიდველთან ერთად დეფექტური აქტების მომზადების პროცესში.
  - გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობა პროექტის განხორციელების პროცესში (საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციის გაწევა, საჭიროებისამებრ საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება)
  - საავტორო ზედამხედველობის ვადა - სამუშაოების მიმდინარეობის მთელი პროცესი.
  - იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინებული დამატებითი სამუშაოების



შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას მიმწოდებელი განახორციელებს ანაზღაურების გარეშე.

- პროექტირების პერიოდში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი სახით შეთანხმდება შემსყიდველთან.

12. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შეფასდება ათბალიანი სისტემით შემდეგი კრიტერიუმების და პრიორიტეტულობის კოეფიციენტების შესაბამისად.
  - საკონკურსო წინადადების ფასი - კოეფიციენტი 0,4
  - კონკურსანტის გამოცდილება - კოეფიციენტი 0,4
  - პროექტის შედგენის ვადა - კოეფიციენტი 0,2
13. კონკურსში გამარჯვების გამოვლენის მთავარი კრიტერიუმი არ არის კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დაბალი ფასი. საკონკურსო კომისია გამარჯვებულს გამოავლენს მისი წევრების მიერ შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად.
14. კონკურსში გამარჯვებულ ორგანიზაციასთან, გამარჯვებულის გამოვლენიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.
15. **გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან 20 კალენდარულ დღეში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა.**
16. წარმოდგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას თან უნდა ერთვოდეს ელექტრონული ვერსია.
17. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადაა საკონკურსო წინადადების წარდგენის დღიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.
18. კონკურსი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3-ის „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ საფუძველზე.

ქ.ვანი

„\_\_\_“ „\_\_\_\_\_“ 2013 წელი

ერთის მხრივ, თვითმმართველი ერთეული ვანის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი -----  
 ----- სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორეს მხრივ \_\_\_\_\_ (შემდგომში -  
 მიმწოდებელი) წარმოდგენილი ----- სახით, დებენ ხელშეკრულებას იმის  
 გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა კონკურსი (კონკურსის ნომერი) -----საპროექტო-  
 სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად  
 მიჩნეული იქნა კონკურსანტის საკონკურსო წინადადება, რომლის თანახმადაც, მომწოდებელმა აიღო  
 ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება  
 \_\_\_\_\_ ლარად (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

(ხელშეკრულების თანხა ციფრებითა და სიტყვიერად)

## 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) \_ შემსყიდველ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებული პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში „შემსყიდველი“) - შესყიდვის განმახორციელებელი პირი, რომლის სახელმწიფო შესყიდვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაცია ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესის შესაბამისად;
- 1.4 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
- 1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

## 2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 2.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს განახორციელებს ვანის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით შექმნილი ინსპექტორების ჯგუფი.
- 2.2 კოორდინატორის ფუნქციებია:
  - 2.2.1 გაწეული და/ან გასაწევი მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულებების მოთხოვნასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება;

2.2.2 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

### **3. ხელშეკრულების საგანი**

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს

სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

### **4. სტანდარტები**

4.1 ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურეობა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ნორმებსა და დადგენილ სტანდარტებს.

### **5. მომსახურების გაწევის პირობები**

5.1 ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს -----.

### **6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

6.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

### **7. ანგარიშსწორება**

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარებში) უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით. ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეულ მომსახურეობაზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. წინასწარი ანგარიშსწორების განხორციელება არ განიხილება.

### **8. მხარეთა უფლება-მოვალეობები**

8.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

8.1.1 საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

8.1.2 აწარმოოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხის ინსპექტირება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1 მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულების მე-7.1 პუნქტით გათვალისწინებული პირობებით;

8.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

8.3.1 მიიღოს გაწეული მომსახურებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება;

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

8.4.1 მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მომსახურება;

8.4.2 უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

8.4.3 საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს „შემსყიდველი“ ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

8.4.4 უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობის განხორციელება პროექტის განხორციელების პროცესში (საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციის გაწევა, საჭიროებისამებრ საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება) სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის დასრულებამდე.

### **9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა**

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულებაში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებებისას.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის (შეთანხმება) სახით. რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ვალდებულების დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით;

10.2 საჯარო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

## 11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) მხარეთა შეთანხმება;

ბ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა;

გ) ერთი მხარის მიერ 10 (ათი) დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა;

დ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 399-ე მუხლით განსაზღვრული შემთხვევა;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

## 12. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

12.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მომსახურება განხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა მოთხოვნის დაცვით.

## 13. ფორს-მაჟორი

13.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

13.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ განთავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოგვარონ ყველა უთანხმოება და

დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

#### 15. ხელშეკრულების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს -----  
----- .

#### 16. განსაკუთრებული პირობები

16.1 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნება მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

16.2 ხელსეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3(სამი) ეგზემპლარად და თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

16.3 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლიარი რჩება მიმწოდებელთან ხოლო ორი ინახება შემსყიდველ ორგანიზაციაში.